23.11.2022

ალტერნატიული წინადადება

საქართველოს კანონის პროექტზე: „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (№07-3/236; 07.09.2022)

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი თამარ კორძაია *წინადადების ავტორი*	28.11.2022 *შემოსვლის თარიღი*	5 *გვერდების რაოდენობა*	2-18689/22 *რეგისტრაციის ნომერი*

საქართველოს კანონის პროექტზე „მაუწყებლობის შესახებ" (07-3/236/10, 07.09.2022) საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის:

ა) კანონპროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) კანონპროექტის პირველი მუხლის 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"52-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 52¹- 52⁹ მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 52¹. პასუხის უფლება

1. დაინტერესებულ პირს, ვისი კანონიერი ინტერესებიც შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი ფაქტების გადაცემით, აქვს პასუხის უფლება ამ მუხლით დადგენილი წესით.

2.დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

3. შესწორების ან უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ: ა) შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა არ წარდგენილა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში; ბ) საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი; გ) შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა; დ) შესწორება ან უარყოფა შეიცავს ცილისწამებას, გამოიწვევს მაუწყებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას, შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას. ე) შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს; ვ) მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.

4. საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სააპელაციო საბჭოში.

მუხლი 52². საერთო სააპელაციო საბჭო

1. საერთო სააპელაციო საბჭო არის მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო ორგანო;

2. საერთო სააპელაციო საბჭო შედგება საერთო საეთერო ტელე მაუწყებლების დასახელებული წევრებისგან. თითოეულ საერთო საეთერო ტელე მაუწყებელს აქვს ერთი კანდიდატის დასახელების უფლებამოსილება.

3. საერთო სააპელაციო საბჭოში შეიძლება გასაჩივრდეს მაუწყებლის მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ამ კანონის 52[1] და 55[1] მუხლების გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.

4. საერთო სააპელაციო საბჭოს საქმიანობის პრინციპებია, კანონიერება, მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და საჯაროობა;

5. საერთო სააპელაციო საბჭოს სამართლებრივი აქტებია გადაწყვეტილება და განკარგულება;

მუხლი 52[3]. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა და ინტერესთა კონფლიქტი

1. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე საქართველოს მოქალაქე. მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 5 წლის – ჟურნალისტიკის ან მედია სამართლის სფეროში.

2. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, მაუწყებლის მესაკუთრე, მისი შემწირველი ან მმართველი. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრს ეკრძალება პოლიტიკური პარტიის წევრობა, ასევე მაუწყებელში დასაქმება ან/და მაუწყებლისთვის სამუშაოს შესრულება.

3. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილება იწყება სააპელაციო საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად ზედიზედ შეიძლება გახდეს მხოლოდ ორჯერ.

4. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრი დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ კანონს და მისი გაწვევა დაუშვებელია;

მუხლი 52[4]. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. ახლად წარდგენილი საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ცნობს საერთო სააპელაციო საბჭო. შესაბამისი საერთო საეთერო ტელე მაუწყებელი საერთო სააპელაციო საბჭოს უგზავნის კანდიდატის ამ კანონის 52[3] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციას. დოკუმენტაციას უნდა დაერთოს კანდიდატის წერილობითი თანხმობა საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე და ასევე, კანდიდატის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება, რომ იგი არ იკავებს ამ კანონის 52[3] მუხლის მე-2 პუნქტი გათვალისწინებულ თანამდებობას და არ ასრულებს ამავე პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოს.

2. საბჭოს წევრის წარდგენის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება საერთო სააპელაციო საბჭოს. საერთო სააპელაციო საბჭო მორიგ სხდომაზე, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ხმათა უმრავლესობით ცნობს საბჭოს წევრის უფლებამოსილებას. თუ 3 სამუშაო დღის ვადაში საბჭო არ შეიკრიბა, საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ცნობს საბჭოს თავმჯდომარე.

3. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ა. წევრი მიმართავს საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნით;

ბ. წევრი გარდაიცვალა;

გ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გამორიცხავს მასზე დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას;

დ. საბჭოს წევრს შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით ან/და მის წინააღმდეგ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ე. არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სააპელაციო საბჭოს ზედიზედ სამ სხდომაზე;

ვ. საბჭოს წევრმა დაიკავა ამ კანონის 52[3] მუხლის მე-2 პუნქტი გათვალისწინებულ თანამდებობა ან დაიწყო ამავე პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

4. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება იღებს საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ჩასატარებელი სხდომის და კენჭისყრის შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამისი კანდიდატის წარმდგენ მაუწყებელს. დაუშვებელია საბჭოს წევრად ხელახლა იქნეს წარდგენილი პირი, რომელსაც ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა.

5. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ანდა უფლებამოსილების ამოწურვის შემთხვევაში, შესაბამისი წევრის წარმდგენი მაუწყებელი 10 სამუშაო დღის ვადაში წარადგენს საბჭოს ახალ წევრს.

მუხლი 52[5]. საერთო სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს აპარატი, ბიუჯეტი და საქმის განმხილველი შემადგენლობა

1. საერთო სააპელაციო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს 1 წლის ვადით. თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საბჭოს არანაკლებს 3 წევრს. ერთი და იგივე კანდიდატი თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. საერთო სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს სააპელაციო საბჭოს საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააპელაციო საბჭოს აპარატის თანამშრომლებს;

დ) სააპელაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს დებულებას.

ე) ასრულებს ამ კანონით და საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს;

ვ) გამოსცემს სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

3. საერთო სააპელაციო საბჭოს სამართლებრივ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ახორციელებს აპარატი. აპარატის ფუნქციები განისაზღვრება დებულებით.

4. საერთო სააპელაციო საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა შრომით ანაზღაურებას, ასევე საერთო სააპელაციო საბჭოს მატერიალურ ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კომისია.

5. საერთო სააპელაციო საბჭოში საქმეთა განხილვის მიზნით იქმნება საქმის განმხილველი შემადგენლობები. საქმის განმხილველი შემადგენლობის დაკომპლექტების წესი განისაზღვრება ამ კანონის 52[6] მუხლის საფუძველზე.

მუხლი 52[6]. საქმის განმხილველ წევრთა შემადგენლობა და მისი დაკომპლექტების წესი.

1. საერთო სააპელაციო საბჭო საჩივრებს განიხილავს 9 წევრის შემადგენლობით. სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრთაგან განსაზღვრავს თითოეული საჩივრის განმხილველ შემადგენლობას ანბანური თანმიმდევრობით (გვარი და სახელი). საერთო სააპელაციო საბჭოს საქმის განმხილველი შემადგენლობა გადაწყვეტილებას იღებს საერთო სააპელაციო საბჭოს სახელით.

2. საერთო სააპელაციო საბჭოს საქმის განხილველი შემადგენლობა ხმათა უმრავლეობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს. თუ არ იქნება არჩეული სხდომის თავმჯდომარე, ამ ფუნქციებს ასრულებს საქმის განმხილველ ამ შემადგენლობაში საერთო სააპელაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილების მქონე პირი. თუ საქმის განმხილველი შემადგენლობის რამდენიმე წევრს აქვს საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების თანაბარი გამოცდილება, სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს საქმის განმხილველი შემადგენლობის უხუცესი წევრი.

მუხლი 52[7]. საერთო სააპელაციო საბჭოსთვის მიმართვა და სააპელაციო საბჭოს სხდომა

1. პირი უფლებამოსილია მიმართოს საერთო სააპელაციო საბჭოს და გაასაჩივროს ამ კანონის 52[2] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება.

2. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. საჩივრის მიმართვის პროცედურა და ფორმა განისაზღვრება საერთო სააპელაციო საბჭოს დებულებით.

3. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. თუ დარღვეული საჩივრის შეტანის კანონმდებლობით ან საბჭოს დებულებით დადგენილი მოთხოვნები, საჩივრის ავტორს ეძლევა ორი სამუშაო დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის აღმოუფხვრელობა წარმოადგენს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველს.

4. საჩივრის ავტორი უფლებამოსილია, დასაბუთებული შუამდგომლობით, მოითხოვოს საერთო სააპელაციო საბჭოს საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრის აცილება. თვითაცილების თაობაზე დასაბუთებული შუამდგომლობა შეიძლება დააყენოს საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრმაც. აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სხდომის თავმჯდომარის ხმას.

5. საჩივარი განიხილება ღია სხდომაზე. საერთო სააპელაციო საბჭოს საქმის განმხილველი შემადგენლობა უფლებამოსილია განიხილოს საქმე თუ მას ესწრება საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

6. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საბჭოს საქმის განმხილველი შემადგენლობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. კენჭისყრა არის ღია, საბჭოს წევრს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავის შეკავების უფლება.

7. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი დაუყოვნებლივ ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე, ხოლო სამოტივაციო ნაწილი გადაწყვეტილების მიღებიდან

10 დღის ვადაში. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაშია სამოტივაციო ნაწილის ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

8. საერთო სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და კომისიაში ან სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 52[8]. საერთო სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე

საჩივრის დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო საბჭო უფლებამოსილია:

ა. დაავალოს მაუწყებელს საჩივრის ავტორისთვის პასუხის უფლების გამოყენების შესაძლებლობის მიცემა, პასუხის უფლების სარგებლობის ვადის მითითებით;

ბ. დაავალოს მაუწყებელს მის პლათფორმაზე გავრცელებული მასალის აღება;

გ. დაავალოს მაუწყებელს სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების მაუწყებლის პლატფორმაზე გამოქვეყნება;

დ. გასცეს რეკომენდაცია ჟურნალისტის კვალიფიკაციის ამაღლების ან მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე.

მუხლი 52[9]. კომისიის ზედამხედველობა

1. კომისია ზედამხედველობს საერთო სააპელაციო საბჭოს მიერ ამ კანონითა და საერთო სააპელაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებას, ასევე საერთო სააპელაციო საბჭოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის, მატერიალური და ტექნიკური რესურსის მიზნობრივ ხარჯვას. კომისიას ზედამხედველობა არ მოიცავს საერთო სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსობრივ მხარეს.

2. კომისია ზედამხედველობს მაუწყებლის მიერ საერთო სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც არ მოიცავს გადაწყვეტილების აღსეულების შინაარსობრივ მხარეს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად, კომისია უფლებამოსილია საერთო სააპელაციო საბჭოდან გამოითხოვოს ინფორმაცია."